



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 718

01 09 2015 წ.

ქ. თბილისი


ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა  
კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის  
№89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების  
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის  
„ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის,  
საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას  
კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ამ  
ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით  
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

დირექტორი



გიორგი შარვაშიძე

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

I თავი

ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

დოკუმენტი მოიცავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესებს.

**მუხლი 2. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მიზანი**

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის (შემდგომში - წესი) მიზანია:

ა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დახვეწა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ბ. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით.

გ. „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად, ობიექტური და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

დ. ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

II თავი

ექსპერტთა შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის წესი

**მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა**

1. ექსპერტების შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის მიზნით, ცენტრი ახორციელებს განაცხადების მიღებას, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებასა და შერჩევას.

2. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს სამოტივაციო წერილი და ავტობიოგრაფია (CV), ორი რეკომენდატორის მითითებით;

ბ) ექსპერტობის კანდიდატთა ავტობიოგრაფიების (CV) შერჩევა მათთვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) გასაუბრება ან/და წერილობითი დავალების შესრულება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;

- დ) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;
- ე) რეკომენდაციის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპზე ცენტრის დირექტორი ქმნის შესაბამის კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს ექსპერტობის კანდიდატთა შერჩევას.
4. საერთაშორისო ექსპერტების შერჩევა ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

**მუხლი 4. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
  - ბ) განათლების სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
  - გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა;
  - დ) ზოგად განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;
  - ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარები;
  - ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
  - ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
  - ბ) განათლების სფეროში ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
  - გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა;
  - დ) პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;
  - ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარები;
  - ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
  - ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
  - ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განვითარებასა და განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება;
  - გ) უმაღლეს განათლების სფეროში (სასურველია, ადმინისტრაციულ პოზიციაზე) მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

დ) უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და საერთაშორისო აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;

ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარები;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

თ) სასურველია, ინგლისური ენის ცოდნა.

4. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ან/და სამეცნიერო კვლევის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) განათლების სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი და საერთაშორისო აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;

ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარები;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

თ) ინგლისური ენის ცოდნა.

5. საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) აღიარებული პროფესიონალი სწავლებისა და კვლევის სფეროში;

გ) ექსპერტად მუშაობის გამოცდილება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

ე) ავტორიზაციის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

ვ) განათლების სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი და საერთაშორისო აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;

ზ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

თ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

ი) ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი სტუდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აქტიური სტუდენტის სტატუსი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ან ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე;

ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ) კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

დ) სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობა;

ე) განათლების სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი და საერთაშორისო აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;  
თ) ინგლისური ენის ცოდნა.

7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ დისციპლინებში/ფსიქოლოგიაში/პედაგოგიაში;

ბ) განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) პროგრამის/თრენინგ-მოდულის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას;

ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარები;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

**მუხლი 5. ექსპერტთა კორპუსის წევრისთვის წაყენებული მოთხოვნები**

1. ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრს არ აქვს უფლება ანაზღაურების სანაცვლოდ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, გარდა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სადაც მას უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დაწესებულებების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ან მასწავლებლის თანამდებობა.

2. ექსპერტთა კორპუსის წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან ცენტრის თანამშრომელი.

### III თავი

#### ექსპერტთა საქმიანობის წესი

**მუხლი 6. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები**

1. ექსპერტთა ჯგუფი იქმნება განათლების ხარისხის განვითარებისა და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების სრულფასოვნად, მრავალმხრივ და ობიექტურად შესწავლის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა (არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 წევრი) განისაზღვრება ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობისა და საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების შესაბამისად.

2. ექსპერტთა გამოცდილებისა და მათი საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობა.

3. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციაა:

ა) წინასწარ გაეცნოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, გააანალიზოს იგი და მოემზადოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტისათვის;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის წინ ექსპერტთა შეხვედრაში და ჯგუფის წევრებთან ერთად შეიმუშავოს ვიზიტისას განსახილველი საკითხები;

გ) ვიზიტისას მიიღოს აქტიური მონაწილეობა დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესში, კერძოდ, ჩაერთოს ინტერვიუებისა და შეხვედრებში, ასევე, ვიზიტის მიმდინარეობისას მოპოვებული სხვა ინფორმაციის გაანალიზებასა და შედეგების განხილვაში;

დ) ვიზიტის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვასა და დასკვნის მომზადებაში;

ე) დაესწროს შესაბამისი საკითხის განხილველ ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს სხდომას, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვასა და საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს წინაშე წარმოადგინოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა.

4. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესს;

ბ) ანაწილებს სამუშაოს ჯგუფის დანარჩენ წევრებზე, მათ შორის, სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტებსა და დამსაქმებლებზე;

გ) ვიზიტისას ხელმძღვანელობს ინტერვიუების პროცესსა და შეხვედრებს დაწესებულების წარმომადგენლებთან;

დ) ყოველი ვიზიტის დღის ბოლოს აწყობს შემაჯამებელ განხილვას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;

ე) ვიზიტის დასრულებისას, დაწესებულებას წარუდგენს წინასწარ შეფასებასა და რეკომენდაციებს;

ვ) აყალიბებს ექსპერტთა დასკვნას საბოლოო სახით და უზრუნველყოფს სრულყოფილი და გამართული დასკვნის ცენტრისთვის წარდგენას ვიზიტის შესახებ ბრძანებით დადგენილ ვადაში;

ზ) წარადგენს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საბჭოს წინაშე.

5. ცენტრის წარმომადგენელი:

ა) აწარმოებს დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრის და ინტერვიუების ოქმებს;

ბ) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტს;

გ) აწარმოებს კომუნიკაციას დაწესებულებასთან და ასრულებს მედიატორის როლს ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის;

დ) გამოითხოვს დაწესებულებისგან და აწვდის ექსპერტთა ჯგუფს ყველა საჭირო დოკუმენტაციასა და მასალას;

ე) ვიზიტის პროცესში, ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და რეგულაციების გათვალისწინებით, ახდენს სათანადო ინტერვენციას და აწარმოებს კომუნიკაციას ცენტრთან;

ვ) არ მონაწილეობს დასკვნის წერის პროცესში.

6. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნას სტუდენტი, რომელიც მისი კომპეტენციის და ინტერესის სფეროდან გამომდინარე აფასებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შესაბამისობას.

7. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნას (პოტენციური) დამსაქმებელი ან/და სხვა სოციალური პარტნიორი, რომელიც მისი კომპეტენციისა და ინტერესის სფეროდან გამომდინარე, აფასებს ავტორიზაციის ან აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შესაბამისობას.

**მუხლი 7. ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესი**

1. საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის სიღრმისეული შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ვიზიტამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე ეგზავნებათ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
2. დოკუმენტაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ექსპერტი ვალდებულია, გაეცნოს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, შეიქმნას წარმოდგენა პროგრამასთან/დაწესებულებასთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს ცენტრისგან დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
3. ცენტრი ვიზიტამდე 3 სამუშაო დღით ადრე ორგანიზებას უწევს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრას, რომელზეც ექსპერტებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჩამოყალიბებული წინასწარი მოსაზრებები, განსაზღვრონ ვიზიტისას შესასწავლი და ინტერვიუებისას განსახილველი საკითხები, დაწესებულებაში გასაცნობი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და შეადგინონ ვიზიტის დღის წესრიგი.
4. ცენტრი ვიზიტამდე 2 სამუშაო დღით ადრე ვიზიტის დღის წესრიგს უგზავნის საგანმანათლებლო დაწესებულებას ორგანიზაციული საკითხების მოგვარების, ინტერვიუების პროცესის დაგეგმვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის დროული მიწოდების უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 8. საავტორიზაციო/საკრედიტაციო/მონიტორინგის ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში**

1. ვიზიტი მიმდინარეობს დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად.
2. საავტორიზაციო/საკრედიტაციო/მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ხვდება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მასწავლებლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს/სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, სოციალურ პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.
3. შეხვედრებისას ინტერვიუს ან/და ფოკუს ჯგუფების ფორმატში განიხილება საკითხები საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის, საუკეთესო პრაქტიკის, სუსტი მხარეების, ხარვეზებისა და განვითარების შესაძლებლობების განსასაზღვრად.
4. ინტერვიუების პარალელურად, ექსპერტები ადგილზე აფასებენ საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურას, სასწავლო რესურსებს, მოსწავლეების/პროფესიულის სტუდენტების/მსმენელების/სტუდენტების შემაჯამებელ დავალებებს/ნაშრომებს, თრენერების/მასწავლებლების/ პროფესიული მასწავლებლების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას.
5. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ანაწილებს საქმიანობას ექსპერტებს შორის და ასევე ხელმძღვანელობს შეხვედრებსა და ინტერვიუებს. ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი აჯამებს შეფასების შედეგებს.
6. ცენტრის წარმომადგენელი აწარმოებს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და შეფასების შედეგების, ასევე, შეხვედრების წერილობით აღწერას.

7. ვიზიტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს ვიზიტის განმავლობაში შეხვედრების, რესურსებისა და დოკუმენტაციის შეფასების შედეგების განხილვა, შეჯამება და საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ზოგადი შედეგების გაცნობა.

**მუხლი 9. დასკვნის შედგენა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა**

1. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის შემდეგ ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების დასკვნას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო რესურსების, დოკუმენტაციის და ვიზიტისას შეგროვებული ინფორმაციის სიღრმისეულ ანალიზს. ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, განსხვავებული აზრი დაერთება ექსპერტთა დასკვნას.

2. დასკვნა უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის განვითარებისა და ავტორიზაციის ან აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზსა და რეკომენდაციებს, კერძოდ:

ა) ზოგად ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ;

ბ) ვიზიტის მიმოხილვას;

გ) მოკლე შემაჯამებელ ანგარიშს ვიზიტის შესახებ;

დ) თითოეული სტანდარტის მიხედვით:

დ.ა) მდგომარეობის აღწერას;

დ.ბ) შეფასებას სტანდარტთან და წინა დასკვნასთან მიმართებით (მისი არსებობის შემთხვევაში);

დ.გ) რეკომენდაციებს (რეკომენდაციებში აღწერილი უნდა იყოს რეკომენდაციის გათვალისწინების გზები და მასზე პასუხისმგებელი ერთეულები);

დ.დ) გამორჩეულ პრაქტიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ.ე) ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:

ა) მკაფიო და ნათელი;

ბ) ენობრივად გამართული;

გ) არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული.

4. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს შეუძლია დასკვნის კონკრეტული ნაწილების დაწერის პასუხისმგებლობა გადაანაწილოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის, თუმცა დასკვნის თითოეულ ნაწილში ასახული უნდა იყოს მთლიანად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული შეფასებები და რეკომენდაციები.

**IV თავი**

**ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება**

**მუხლი 10. ექსპერტთა პროფესიული განვითარება**

1. ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვის და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ცენტრის ექსპერტების პროფესიული განვითარება, კერძოდ, ცენტრი:



- ა) ატარებს თრენინგებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის არსებული სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;
  - ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;
  - გ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.
2. ცენტრი ხელს უწყობს ექსპერტთა ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტსა და უცხოური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებში.
3. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს თრენინგების ჩატარებას საგანმანათლებლო დაწესებულების, ექსპერტობის კანდიდატებისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.

#### მუხლი 11. ექსპერტთა მუშაობის შეფასება

- 1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი თითოეული ვიზიტის დასრულების შემდეგ ახორციელებს ექსპერტთა მუშაობის შეფასებას ამ წესის დანართი №1 და დანართი №2-ით დამტკიცებული შეფასების კითხვარის ფორმების მიხედვით.
- 2. საგანმანათლებლო დაწესებულება ვიზიტის პროცესში ჩართული პირების მეშვეობით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ჩაბარებამდე აფასებს ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადების შემდეგ, აფასებს ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს.

### V თავი

#### ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

#### მუხლი 12. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) ექსპერტის ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
- ბ) ექსპერტის პირადი განცხადება;
- გ) ექსპერტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- დ) სასამართლოს მიერ ექსპერტის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;
- ე) ექსპერტის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;
- ვ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;
- ზ) ექსპერტის მიერ ცენტრთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა;
- თ) ექსპერტის გარდაცვალება.

**მუხლი 13. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების დაწყება**

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება წერილობითი განცხადების ან/და ცენტრის ინიციატივის საფუძველზე.
2. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
  - ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
  - გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;
  - დ) ჩადენილი გადაცდომის დასაბუთებას;
  - ე) გადაცდომის ჩადენის ადგილსა და დროს;
  - ვ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
  - ზ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
3. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძველად დაედოს ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვას.

**მუხლი 14. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების ჩატარება**

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ტარდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-12 მუხლის „ა“, „ე“, „ვ“ ან/და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.
3. ეთიკის კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

**მუხლი 15. ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები**

1. ცენტრის დირექტორი ეთიკის კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის, ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;
  - ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
2. ცენტრის დირექტორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
3. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს მას ფოსტით.
4. ამ წესის მე-12 მუხლის „ა“, „ე“, „ვ“ ან/და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე ექსპერტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ხელახლა გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.

დანართი 1

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება -----

პროგრამის სახელწოდება (აკრედიტაციის შემთხვევაში) -----

ექსპერტთა ჯგუფის წევრები -----

ვიზიტის პერიოდი -----

ამ გამოკითხვის მიზანია ექსპერტების პროფესიული საქმიანობის შეფასება. გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ კითხვას. კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა, ჩამოაყალიბოთ წერილობითი შეფასება და დამატებითი კომენტარები. აგრეთვე, დამატებითი განმარტებებისათვის გთხოვთ, გამოიყენოთ თითოეული თემის ბოლოს არსებული დამატებითი კომენტარის ველი.

| ვიზიტის მიმდინარეობა   | კი | არა | ნაწილობრივ |
|--|----|-----|------------|
| ექსპერტები მოქმედებდნენ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით                          |    |     |            |
| ექსპერტები სრულად დაესწრნენ ვიზიტს   |    |     |            |
| ექსპერტებმა დასვეს ინტერვიუს დროს საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კითხვები |    |     |            |
| ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში)         |    |     |            |

დამატებითი კომენტარის ველი:

| შეფასეთ სკალირებული სისტემით: 5 - დადებითი; 1 - უარყოფითი.              | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|---|
| ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და იცავდა ეთიკის ნორმებს    |   |   |   |   |   |
| ექსპერტთა ჯგუფი ორიენტირებული იყო შედეგზე და მოქმედებდა პროფესიონალურად |   |   |   |   |   |

| ეთიკის ნორმების დაცვა  | კი | არა | ნაწილობრივ |
|--|----|-----|------------|
| ექსპერტები, ყველა ეთიკური ნორმის დაცვით, ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებებს საგანმანათლებლო დაწესებულების მისამართით |    |     |            |
| ექსპერტები გამოხატავდნენ დაწესებულების მიმართ კოლეგიალურ დამოკიდებულებას და პატივს სცემდნენ მათ მოსაზრებებს              |    |     |            |
| ექსპერტები პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მოქმედებდნენ ობიექტურად და მიუკერძოებლად                                   |    |     |            |
| ექსპერტები იცავდნენ ვიზიტის მიმდინარეობის დროს მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრინციპს                        |    |     |            |

დამატებითი კომენტარის ველი:

| შეაფასეთ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა: |   |
|---------------------------------------|---|
| ძალიან კარგი                          | 5 |
| კარგი                                 | 4 |
| დამაკმაყოფილებელი                     | 3 |
| არადამაკმაყოფილებელი                  | 2 |
| ცუდი                                  | 1 |

რა მოგეწონათ/არ მოგეწონათ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაში?

დამატებითი კომენტარის ველი

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

ექსპერტის შეფასების ფორმა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება -----

პროგრამის სახელწოდება (აკრედიტაციის შემთხვევაში) -----

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე -----

ექსპერტი -----

ვიზიტის პერიოდი -----

ამ გამოკითხვის მიზანია ექსპერტის და მისი პროფესიული საქმიანობის შეფასება. გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ კითხვას. კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა, ჩამოაყალიბოთ წერილობითი შეფასება და დამატებითი კომენტარები. აგრეთვე, დამატებითი განმარტებებისათვის გთხოვთ, გამოიყენოთ თითოეული თემის ბოლოს არსებული დამატებითი კომენტარების ველი.

| ვიზიტის წინა შეხვედრის შეფასება   | კი | არა | ნაწილობრივ |
|---|----|-----|------------|
| ექსპერტს წინასწარ შესწავლილი ჰქონდა დოკუმენტაცია შეფასების მოსამზადებლად                          |    |     |            |
| წინასწარი შეფასების შედეგად, ექსპერტმა ჩამოაყალიბა მოსაზრებები პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით |    |     |            |
| ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ინტერვიუზე დასასმელი სავარაუდო კითხვები                               |    |     |            |
| ექსპერტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დღის წესრიგის შედგენაში                                       |    |     |            |

დამატებითი კომენტარის ველი:

| ვიზიტის მიმდინარეობა   | კი | არა | ნაწილობრივ |
|--|----|-----|------------|
| ექსპერტი მოქმედებდა გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით                                    |    |     |            |
| ექსპერტი სრულად დაესწრო ვიზიტს   |    |     |            |
| ექსპერტმა დასვა ინტერვიუს დროს საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კითხვები          |    |     |            |
| ექსპერტმა მოახერხა ინტერვიუს მეშვეობით გამოველინა და დაეზუსტებინა პრობლემური საკითხები |    |     |            |

|   |  |  |  |
|---|--|--|--|
| ექსპერტმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში) |  |  |  |
|---|--|--|--|

|                             |
|-----------------------------|
| დამატებითი კომენტარის ველი: |
|-----------------------------|

|  |   |   |   |   |   |
|--|---|---|---|---|---|
| შეაფასეთ სკალირებული სისტემით: 5 - დადებითი; 1 - უარყოფითი.      | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და იცავდა ეთიკის ნორმებს    |   |   |   |   |   |
| ექსპერტი ორიენტირებული იყო შედეგზე და მოქმედებდა პროფესიონალურად |   |   |   |   |   |
| ექსპერტი გამოხატავდა მზაობასა და ჩართულობას შეფასების პროცესში   |   |   |   |   |   |

| ეთიკის ნორმების დაცვა   | კი | არა | ნაწილობრივ |
|---|----|-----|------------|
| ექსპერტი, საგანმანათლებლო დაწესებულების, ექსპერტებისა და ცენტრის მისამართით მოსაზრების გამოხატვისას იცავდა ეთიკის ნორმებს |    |     |            |
| ექსპერტი გამოხატავდა ჯგუფის წევრების მიმართ კოლეგიალურ დამოკიდებულებას და პატივს სცემდა მათ მოსაზრებებს                   |    |     |            |
| ექსპერტი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გახლდათ ობიექტური და მიუკერძოებელი  |    |     |            |
| ექსპერტი იცავდა ვიზიტის მიმდინარეობის დროს მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრინციპს                             |    |     |            |

|                             |
|-----------------------------|
| დამატებითი კომენტარის ველი: |
|-----------------------------|

| დასკვნა  | კი | არა | ნაწილობრივ |
|--|----|-----|------------|
| ექსპერტი მონაწილეობდა დასკვნის მომზადების მიზნით |    |     |            |

|   |  |  |  |
|---|--|--|--|
| გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაში   |  |  |  |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დავალებით ექსპერტმა მოამზადა დასკვნის ნაწილი, რომელზეც ის იყო პასუხისმგებელი  |  |  |  |
| ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშში სრულყოფილად იყო ასახული ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები (დოკუმენტების შესწავლის, მატერიალური რესურსების დათვალიერებისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზი) |  |  |  |
| ექსპერტმა დასკვნაში ასახა დაწესებულების/პროგრამის შესაბამისობა თითოეულ სტანდარტთან მიმართებით   |  |  |  |
| ექსპერტმა დასკვნის შედგენისას გაითვალისწინა წინა დასკვნაში ასახული გარემოებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)   |  |  |  |
| დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები მოიცავდა მათი შესრულების გზებს   |  |  |  |
| დასკვნა ასახავდა ხარვეზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)   |  |  |  |
| დასკვნა ასახავდა გამორჩეულ პრაქტიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)   |  |  |  |

დამატებითი კომენტარების ველი:

| დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია  | კი | არა | ნაწილობრივ |
|--|----|-----|------------|
| ექსპერტს, დასკვნის საკუთარ ნაწილში, მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული შეფასებები             |    |     |            |
| ექსპერტს ენობრივი თვალსაზრისით გამართულად ჰქონდა ჩამოყალიბებული დასკვნის საკუთარი ნაწილი |    |     |            |
| ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა გამყარებული იყო არგუმენტებითა და მტკიცებულებებით     |    |     |            |

დამატებითი კომენტარების ველი:



|                               |   |
|-------------------------------|---|
| შეფასეთ ექსპერტის საქმიანობა: |   |
| ძალიან კარგი                  | 5 |
| კარგი                         | 4 |
| დამაკმაყოფილებელი             | 3 |
| არადამაკმაყოფილებელი          | 2 |
| ცუდი                          | 1 |

რა მოგეწონათ/არ მოგეწონათ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაში?

მომავალში კვლავ ითანამშრომლებდით ექსპერტთან?

- კი
- არა

დამატებითი კომენტარის ველი

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!